“დი–ნა–მო”, “დი–ნა–მო”!...

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 11 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) 2:2 (2:1).

“დინამო”: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, სულაქველიძე, შენგელია.

“ტორპედო”: ზარაპინი, პრიგოდა, ჟუპიკოვი, ბუტურლაკინი, მირონოვი, პეტრენკო, ფილატოვი, ვასილიევი, იურინი, სახაროვი, ხრაბროსტინი (იაკოვლევი).

მსაჯი: მ. კუსენი (ლვოვი).

გოლები გაიტანეს სახაროვმა (მე–16 წუთზე), გუცაევმა (20), შენგელიამ (24), პეტრენკომ (77).

გამარჯვება!

გმირობა. დაუვიწყარი სპექტაკლი, მეცნიერული აღმოჩენა, ხელოვნების და ლიტერატურის უკვდავი შედევრები – ყველაფერ ამას ერთი, ყველაზე ტკბილი და ყოვლისმომცველი სიტყვა გამარჯვება ჰქვია.

საოცარი გრძნობაა – თავით ფეხებამდე გაგივლის, დაგბურძგლავს, მერე ერთ დიდ გორგლად შეიკვრება, დაგუბდება, დაგუბდება და ან აღტაცებად იქცევა, ან ენით უთქმელ სიხარულად, ანდა ცრემლში იპოვის გამოსავალს. ათმაგია ეს აღტაცება და სიხარული თუ გამარჯვება შენიანის ხელთქმნილია.

სპორტი გამონაკლისი არ არის, რადგან სპორტსაც თან სდევს განცდა. მუდამ სასურველი და ნანატრი, გამარჯვებას რომ მოაქვს.

იმ მატჩის შემდეგ ნახევარი საათიც არ იყო გასული, თბილისის ქუჩებს კი რაღაც უცნაურმა ღელვამ დაუარა.

არა მწამს კულისების ლაბირინთებში შეფასებული გამარჯვებისა. ხალხია ყველაზე ნაღდი და ყველაზე მართალი შემფასებელი, ყველაზე უწინ ხალხი გრძნობს და ხალხივე ამბობს სატკივარსაც და სასიხარულოსაც. თქვა კიდეც.

ალბათ იმიტომ თუ იყო, ყურთამდე მოღებული ყველა სახლის ფანჯარა, იმიტომ თუ დასთამაშებდა სახეებს სითბო და ღიმილი, იმიტომ თუ ერთვოდა ომახიან “დინამო”, “დინამოს” გაურანდავი და წვრილი ბავშვური ხმები.

ის თავისთავად არასდროს მოდის. არც ახლა მოსულა. ქვეყნის უპირველესი გუნდის სახელი ღირსეული ჯილდო გამოდგა “დინამოს” წლევანდელი თავდაუზოგავი ბრძოლისა, მწვრთნელთა და ფეხბურთელთა ჟინიანი ლტოლვისა, რომ ქართული ფეხბურთი მისთვის შესაფერ სიმაღლეზე ეხილათ.

ჩვენს ფეხბურთელებს მაყურებელი არასდროს აკლდა. ახლა კი გვირგვინდადგმულთა საკურთხებად მოუსვლელობა მკრეხელობა იქნებოდა მუდამ სულგადალეული გულშემატკივრებისთვის.

11 ნოემბერს “დინამოს” სტადიონზე, სტადიონზე, სადაც ჯერ კიდევ ტრიალებს და დიდხანსაც დარჩება იმათი შემართება და ოცნება, ვინც პირველი ხნული გაავლო, ვისაც ძარღვიანი მარჯვენით ეჭირა ქართული ფეხბურთის გუთანი. მათი სახელები, ვისა ერთთავად საოცნებოდ ჰქონდა გამხდარი გამარჯვება, სათითაოდ გამოდიან ვალმოხდილი, მართლაცდა ოქროს ბიჭები.

უნდა ითქვას, რომ “ტორპედომ” კარგი მეტოქეობა გაუწია ახალ ჩემპიონს. ავტოქარხნელებმა ამ მატჩში ხელი აიღეს ბოლო ხანებში შეთვისებულ თამაშის მანერაზე და სწორადაც მოიქცნენ. მაყურებელმა მინდორზე ძველ “ტორპედო” იხილა, გუნდი, რომელიც თითქმის ყოველთვის “ღია” ფეხბურთს თამაშობდა.

ლამაზი იყო გოლებიც. ლამაზი იყო მთლიანად მატჩი და მისი ფინალიც – ტრინუნის გუგუნში სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონმა თბილისის “დინამომ” საპატიო წრე შემოუარა.

ჩათავდა წლევანდელი წლის უკანასკნელი მატჩიც და კარგა ხნით მიჩუმდება მწვანე მინდორი. ახალი საფეხბურთო ბრძოლების მოლოდნში გაირბენს ზამთრისპირა დღეები. დეკემბერი და იანვარი. მერე კი გაზაფხულიც დადგება. ზამთრის გარინდებას ჩამოიბერტყავს გულშემატკივარი, ისევ მომძლავრდება საფეხბურთო ცხოვრება. ისეც ჩაიბუდებს ათასთა გულში ღელვა, მოლოდინი და იმედი, ისევ მოტივტივდება ოცნებით შებურული სიტყვა გამარჯვება!

“ლელო”, 12 ნოემბერი, 1978 წ.